

**სს სასტუმროებისა და რესტორნების
მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ**

კონსოლიდირებული ფინანსური

და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ამონაგები რეალიზაციიდან	12
6. ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	12
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	13
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. კომერციული ხარჯები	13
10. ფინანსური ხარჯები	13
11. ძირითადი საშუალებები	14
12. მარაგები	15
13. სავაჭრო მოთხოვნები	15
14. გადასახადები	16
15. ფული და ფულის ექვივალენტები	16
16. კაპიტალი	16
17. აღებული სესხები	17
18. სავაჭრო ვალდებულებები	18
19. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18
20. პირობითი ვალდებულებები	18
21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	19
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	22
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	23
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	25
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	25
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	25
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	25
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კონსოლიდირებულ საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

ჯგუფის ფასს-ზე გადასასვლელი წინასწარი ანგარიშგების აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოსცეს პირობითი დასკვნა.

ჯგუფმა გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტისა ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითებით გათვალისწინებული მიდგომა 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში და წარადგენს მხოლოდ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას რადგან სხვაობები ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 21-27 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, კონსოლიდირებული „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, კონსოლიდირებული „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მის ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლელობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

16 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.



დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვკვამ დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

16 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.


სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემპრუპ

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	25,107	23,900
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(19,215)	(18,864)
საერთო მოგება		5,892	5,036
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	780	622
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,212)	(2,696)
კომერციული ხარჯები	9	(198)	(181)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(162)	(102)
საოპერაციო მოგება		3,100	2,679
ფინანსური შემოსავალი	10	48	75
ფინანსური ხარჯი	10	(190)	(406)
მოგება დაბეგრამდე		2,958	2,348
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,958	2,348
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		3,628	2,256
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(670)	92
წლის სრული შემოსავალი		2,958	2,348

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


გიორგი ჩუბინიშვილი
გენერალური დირექტორი


ნოდარ წერეთელი
ფინანსური მენეჯერი

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები რეალიზაციიდან	5	25,107	23,900
ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(19,215)	(18,864)
საერთო მოგება		5,892	5,036
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	780	622
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(3,212)	(2,696)
კომერციული ხარჯები	9	(198)	(181)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(162)	(102)
საოპერაციო მოგება		3,100	2,679
ფინანსური შემოსავალი		48	75
ფინანსური ხარჯები	10	(190)	(406)
მოგება დაბეგვრამდე		2,958	2,348
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,958	2,348
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		3,628	2,256
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(670)	92
წლის სრული შემოსავალი		2,958	2,348

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი ჩუბინიშვილი
გენერალური დირექტორი

ნოდარ წერეთელი
ფინანსური მენეჯერი

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	9,455	9,671	10,198
არამატერიალური აქტივები		32	46	51
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,487	9,717	10,249
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	12	737	684	466
სავაჭრო მოთხოვნები	13	2,261	1,928	1,282
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		171	73	125
საგადასახადო აქტივი	14	-	190	241
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	676	1,230	369
სულ მიმდინარე აქტივები		3,845	4,105	2,483
სულ აქტივები		13,332	13,822	12,732
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	16	68	68	75
უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები	16	-	-	(300)
სააქციო პრემიუმი	16	3,773	3,773	4,066
გაუნაწილებელი მოგება	16	3,483	1,400	488
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		7,324	5,241	4,329
არამაკონტროლებელი წილი	16	3,763	3,034	2,942
სულ კაპიტალი		11,087	8,275	7,271
გრძელვადიანი ვალდებულებები				
აღებული სესხები	17	-	2,558	2,956
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	2,558	2,956
მიმდინარე ვალდებულებები				
აღებული სესხები	17	187	438	358
საგადასახადო ვალდებულებები	14	32	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	18	1,265	1,838	1,780
მიღებული ავანსები და სხვა		761	713	367
მოკლევადიანი ვალდებულებები	19			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,245	2,989	2,505
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,332	13,822	12,732

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემიგრუპ

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემიუმი	სახაზინო აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2017	75	4,066	(300)	488	4,329	2,942	7,271
სახაზინო აქციებით კაპიტალის შემცირება	(7)	(293)	300		-	-	-
დივიდენდის გამოცხადება				(1,344)	(1,344)	-	(1,344)
							-
მიმდინარე წლის მოგება	-	-	-	2,256	2,256	92	2,348
31 დეკემბერი 2017	68	3,773	-	1,400	5,241	3,034	8,275
შვილობილ საწარმოში წილის შემცირება	-	-	-	-	-	1,625	1,625
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(1,545)	(1,545)	(226)	(1,771)
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	3,628	3,628	(670)	2,958
							-
31 დეკემბერი 2018	68	3,773	-	3,483	7,324	3,763	11,087

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	30,357	27,206
მომწოდებელთათვის გადახდილი ფული	(18,804)	(16,424)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(6,183)	(5,106)
გადასახადები და სხვა სავალდებულო გადასახდელები	(3,006)	(2,901)
გაცემული დივიდენდები გადასახადების გარეშე	(1,650)	(1,273)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	714	1,502
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაცია	1,680	108
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვები	-	(100)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	1,680	8
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	49	75
მიღებული სესხი	1,770	-
გადახდილი პროცენტი	(225)	(400)
სესხის დაფარვა	(4,542)	(324)
წმინდა ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	(2,948)	(649)
წმინდა ფულადი ნაკადები პერიოდისთვის	(554)	861
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,230	369
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	676	1,230

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205073016.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ემ-ჯგუფის ბრენდის ქვეშ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სიდიდის ჰორეკა ობიექტების მართვა. დღესდღეობით მის მართვაში შედის 6 სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებული პროექტი როგორც თბილისში, ასევე, რეგიონში (ყვარელი):

რესტორნები:

- მეტეხის ჩრდილში;
- პურის სახლი;
- მასპინძელი;
- ოტიუმი.
-

სასტუმროები:

- კურორტი ყვარლის ტბა;
- ყვარლის ბაღები.

ჰორეკა სექტორის ობიექტების მართვის გარდა, კომპანია უზრუნველყოფს მსხვილი ორგანიზაციებისთვის სათაო ოფისებისა და სხვადასხვა ობიექტების მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას. მიმდინარე პერიოდში კომპანია ემსახურება BP-ს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საიტებსა და სათაო ოფისში კვებითი და სხვა ქეითერინგული მომსახურებებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჩანტლაძის ქუჩა N40. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის ერთსა და იმავე მისამართზე.

ჯგუფის სტრუქტურა. 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანია შემდეგი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) წილებს ფლობდა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილი	
		2018	2017
შპს კოლორიტი	უძრავი ქონების მართვა	50%	50%
შპს ოტიუმი	უძრავი ქონების მართვა	50%	-

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია ჯგუფის აქციონერების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოითხოვება 2018 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები და გადაწყვიტა გამოეყენებინა შემდეგი ნებაყოფილობითი გათავისუფლება:

- **რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა აირჩია ფასს-ზე გადასვლის თარიღით ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფების რეალური ღირებულებით შეფასება და აღნიშნული თარიღით ამ რეალური ღირებულებების გამოყენება დასაშვებ საწყის ღირებულებად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით; 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შემენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შემენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს, 2017 წლის 31 დეკემბერსა და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017	წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2017	წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო

3. მნიშვნელოვანი საღარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20
მანქანა დანადგარები	3-5
ოფისის აღჭურვილობა	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა ძირითადი საშუალებები	4-15

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	7 წელი
სხვა	3-7 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრვას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

„კომპანიის“ ავტორიზებული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება „კომპანიის“ წესდებით. „კომპანიის“ წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით. ავტორიზებული და სრულად შევსებული კაპიტალი აღიარდება სააქციო კაპიტალის სახით „კომპანიის“ კაპიტალში. აქციების ნომინალური ღირებულებაზე ნამეტი აღიარდება საემისიო კაპიტალად.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც ჯგუფი რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის. დედა კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბიზის სხვადასხვა ლოკაციების ქეითერინგული და ლოჯისტიკური მომსახურება. ლოჯისტიკური მომსახურებების დიდი ნაწილი დაკლასიფიცირებულია როგორც სააგენტო ურთიერთობები და შემოსავლად ნაღიარებია მხოლოდ კომპანიის კუთვნილი საკომისიო.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის

შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2018	2017
სარესტორნე მომსახურება	13,962	15,043
სასტუმრო მომსახურება	1,615	1,571
ქეთერინგული მომსახურება	7,580	6,566
სხვა	1,950	720
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	25,107	23,900

BP -ის პროექტის ფარგლებში არსებობს გარკვეული გარიგებები, სადაც ჯგუფი მოქმედებს მომხმარებლის სახელით, რათა შეიძინოს სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. ჯგუფი აღნიშნულ გარიგებებში მოქმედებს როგორც რწმუნებული. ჯგუფი ასახავს ამ შემოსავლებს იმ მოცულობით, რომლითაც იგი ინარჩუნებს რწმუნებულის მომსახურებას.

6. ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,379)	(4,553)
რეალიზებული სასმელების თვითღირებულება	(1,590)	(1,614)
ხელფასის ხარჯი	(6,573)	(6,041)
ობიექტების იჯარის ხარჯი	(3,144)	(2,903)
კომუნალური გადასახადი	(595)	(658)
დამხმარე მასალების ხარჯი	(902)	(772)
ცვეთა და ამორტიზაცია	(366)	(528)
სხვა პირდაპირი ხარჯი	(1,666)	(1,795)
სულ ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(19,215)	(18,864)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ინვენტარიზაციის შედეგები	116	145
მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	433	373
სხვა	231	104
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	780	622

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
თანამშრომელთა სარგებელი	(2,020)	(1,745)
ტრანსპორტირების ხარჯი	(334)	(275)
დაცვის ხარჯები	(171)	(154)
ბანკის საკომისიო	(124)	(91)
კომუნალური ხარჯები	(65)	(68)
იჯარა	(41)	(15)
დაზღვევა	(27)	(24)
ცვლილებები საექვო მოთხოვნების რეზერვში	15	-
სხვა	(445)	(324)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,212)	(2,696)

9. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მარკეტინგული ხარჯები	(115)	(181)
გაყიდვის ხარჯები	(83)	-
სულ კომერციული ხარჯები	(198)	(181)

10. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საბანკო კრედიტის საპროცენტო ხარჯი	(187)	(401)
დაფუძნებისგან მიღებული სესხის პროცენტი	(3)	(5)
სულ ფინანსური ხარჯები	(190)	(406)

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	5,885	4,199	265	842	99	503	11,793
შემოსვლა	-	-	28	46	-	8	82
გასვლა	-	-	(29)	(73)	-	(38)	(140)
2017 წლის 31 დეკემბერი	5,885	4,199	264	815	99	473	11,735
შემოსვლა	3,200	3,018	18	363	58	50	6,707
გასვლა	(4,940)	(1,542)	(40)	(599)	-	(454)	(7,575)
2018 წლის 31 დეკემბერი	4,145	5,675	242	579	157	69	10,867
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	-	(660)	(157)	(460)	(48)	(270)	(1,595)
ცვეთა	-	(209)	(42)	(140)	(14)	(100)	(505)
გასვლა	-	-	7	22	-	7	36
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(869)	(192)	(578)	(62)	(363)	(2,064)
ცვეთა	-	(178)	(29)	(93)	(19)	(23)	(342)
გასვლა	-	333	29	292	-	340	994
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(714)	(192)	(379)	(81)	(46)	(1,412)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარი	5,885	3,539	108	382	51	233	10,198
2017 წლის 31 დეკემბერი	5,885	3,330	72	237	37	110	9,671
2018 წლის 31 დეკემბერი	4,145	4,961	50	200	76	23	9,455

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 417 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად იყო გაცვეთილი, მაგრამ მაინც გამოყენებადია (2017 წლის 31 დეკემბერი 308 ლარი და 2017 წლის 1 იანვარი 225 ლარი).

ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანია მიწისა და შენობების შეფასების მიზნით. მათი სამართლიანი ღირებულება წარდგენილ იქნა როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება.

2018 წლის თებერვალში სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპმა შვილობილი კომპანიისგან შპს კოლორიტი, შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც იმავე თარიღში კაპიტალის სახით შეიტანა მეორე შვილობილ კომპანიაში-შპს ოტიუმი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დედა კომპანიის მოძრავი ქონება და სავაჭრო ნიშანი გამოყენებული იყო აღებული სესხის უზრუნველყოფისთვის.

12. მარაგები

ჯგუფის მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სასმელები	318	342	263
საკვები ინგრედიენტები	267	218	137
სახარჯი და სხვა დამხმარე მასალები	152	124	66
სულ მარაგები	737	684	466

13. სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	2,371	2,053	1,407
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(110)	(125)	(125)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2,261	1,928	1,282

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	(125)	(125)
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	15	-
ნაშთი წლის ბოლოს	(110)	(125)

14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით, განეცხება ხდება ჯგუფში შემავალი კომპანიების დონეზე.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
თანხა ბანკში ეროვნულ ვალუტაში	568	1,139	267
თანხა ბანკში უცხოურ ვალუტაში	3	6	40
თანხა სალაროში	105	85	62
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	676	1,230	369

სალაროში არსებული ფულადი სახსრები წარმოადგენს ობიექტების ხურდის ნაშთს და ნაღდი ანგარიშსწორებით ნავაჭრს ინკასირებამდე. ბანკში არსებული ფულადი სახსრები წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

16. კაპიტალი

სააქციო და საემისიო კაპიტალი

დედა კომპანიის აქციონერებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

აქციონერი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
არჩილ გეგენავა	40.00%	40.00%	40.00%
გიორგი ჩუბინიშვილი	60.00%	20.00%	20.00%
კენტროკ ექსპრეს ეიჯი	0.00%	40.00%	40.00%
	100%	100%	100%

16. კაპიტალი (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალი დაყოფილი იყო 75,000 ცალი 1 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციად. 2017 წლის განმავლობაში, კომპანიამ გააუქმა გამოსყიდული საკუთარი აქციები. შედეგად, გამოსყიდული საკუთარი აქციების ანგარიში დანეტდა სააქციო და საემისიო კაპიტალთან. შედეგად, სააქციო კაპიტალი განისაზღვრა 67,500 ლარის ოდენობით, ხოლო საემისიო კაპიტალი 3,773,325 ლარის ოდენობით (ერთეულებში).

2018 წელს შეიცვალა დამფუძნებელთა სტრუქტურა, კენტროკ ექსპრეს ეიჯის წილი გადავიდა გიორგი ჩუბინიშვილის საკუთრებაში და შედეგად იგი წარმოადგენს ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელ პირს.

დივიდენდები

2018 წლის განმავლობაში დედა კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდები 1,545 ლარის ოდენობით (2017 -1,344 ლარი).

17. აღებული სესხები

დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	კრედიტის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური ინსტიტუტები	6% + რეფინანსირების განაკვეთი	9/20/2023	ლარი	-	2,558	2,925
აქციონერი	16.0%	31/12/2018	ლარი	-	-	31
სულ გრძელვადიანი სესხი				-	2,558	2,956

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	კრედიტის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური ინსტიტუტები	6% + სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი	9/20/2023	ლარი	187	384	340
აქციონერი	16.0%	31/12/2018	ლარი	-	54	18
სულ მოკლევადიანი სესხი				187	438	358

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფის-ემ|გრუპის შვილობილ კომპანიას - შპს კოლორიტსა და სს თიბისი ბანკს შორის 2016 წლის 20 სექტემბერს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება. კრედიტის თანხა შეადგენდა 3,330 ლარს და მისი დაფარვის ვადა იყო 2023 წლის 20 სექტემბერი.

2018 წლის 15 თებერვალს შევიდა ცვლილებები საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაში. აღნიშნულის მიხედვით შპს კოლორიტი აღარ არის მსესხებელი და სს ემ|გრუპი სრულიად იღებს პასუხისმგებლობას სასესხო ვალდებულებებზე. სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფის-ემ|გრუპმა სესხის ნაწილი დაფარა წინსწრებით.

ინფორმაცია უზრუნველყოფაში ჩადებული ძირითადი საშუალებების შესახებ მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

18. სავაჭრო ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ვალდებულებები მომსახურებიდან	259	400	198
ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან	828	941	1,225
ვალდებულებები იჯარაზე და ქონების მართვაზე	178	497	357
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,265	1,838	1,780

19. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფის მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიღებული ავანსები	204	185	172
გადასახდელი ხელფასები	446	528	195
ანარიცხი	111	-	-
სულ მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	761	713	367

ინფორმაცია ანარიცხებზე მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან

მიმდინარეობს სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან, 2017 წლის 29 ნოემბრის შპს კოლორიტის საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხულ ქონების გადასახადთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ გასაჩივრებულ იქნა გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში, თუმცა 2018 წლის 26 ივლისის შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ გამოცემული ბრძანებით შპს კოლორიტს დამატებით დარიცხული თანხები არ შეუმცირდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, რომელმაც 2019 წლის 5 ივნისის ბრძანების შესაბამისად, არ დააკმაყოფილა საჩივარი.

გამომდინარე იქიდან, რომ დავა გადასულია სასამართლოში, ჯგუფმა გადაწყვიტა შეექნა ანარიცხი მოსალოდნელ დამატებით გადასახდელ თანხებზე 111 ლარის ოდენობით.

ვალდებულებების შესრულება. ჯგუფს გააჩნია ვალდებულებები დაკავშირებული გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებასთან, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ მოელის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ბანკიდან აღებულ სესხებზე პირობების გაუარესებას ან სხვა რაიმე სახის ქმედებებს.

21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი დარჩენილი თანხა შემდეგია:

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს კოფი თაიმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	6	-
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	1	3

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს ფუდსერვისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	169	327	754
შპს ყვარელი პალასი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	73	417	288
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	21	62	71
შპს კოფი თაიმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	1	-
შპს აგროგანვითარება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4	10	7

2018 და 2017 წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	კავშირის სახე	2018	2017
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	52	27
შპს კოფი თაიმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	29	36
შპს ფუდსერვისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	25	13
შპს ყვარელი პალასი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	13	6
შპს აგროგანვითარება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1	-

21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	კავშირის სახე	2018	2017
შპს ფუდსერვისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2,991	2,975
შპს ყვარელი პალასი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,210	412
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	193	377
შპს კოფი თაიმი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	11	1
შპს აგროგანვითარება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	26	15

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2018	2017
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	1,140	1,199

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში „კომპანიის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა გიორგი ჩუბინიშვილი, ანა ბოკერია გახდა გენერალური დირექტორის მოადგილე. აღმასრულებელ დირექტორად კი დაინიშნა ლევან ვაშაკიძე.

2019 წლის იანვრიდან ანგარიშგების გამოცემის დღემდე დედა კომპანიამ განახორციელა 569 ლარის ოდენობით დივიდენდის გამოცხადება და გაცემა.

სს სასტუმროებისა და რესტორნების
მენეჯმენტ ჯგუფი–ემ|გრუპ
კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ (შემდგომში „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის გენერალური დირექტორია გიორგი ჩუბინიშვილი, დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო რომელიც შედგება შემდეგი წევრებისგან: არჩილ გეგენავა, გიორგი ჩუბინიშვილი და გიორგი მიქაძე.

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ-ის აქციონერები არიან:

- არჩილ გეგენავა 40%
- გიორგი ჩუბინიშვილი 60%

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ (შემდგომში ჯგუფი) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „კოლორიტი“	საიჯარო მომსახურება	50%
შპს „ოტიუმი“	საიჯარო მომსახურება	50%

2018 წელს სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ-მა იურიდიულ პირად დააფუძნა შპს ოტიუმი და ამავე წელს მოახდინა მისი 50%-იანი წილის გასხვისება არადაკავშირებულ მხარეზე.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ემ|გრუპი (დედა კომპანია)

კომპანიის მართვაში დღეისთვის შედის 6 სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებული პროექტი როგორც თბილისში ასევე მის ფარგლებს გარეთ (ყვარელი). კომპანია მუდმივად აქცევს ყურადღებას კონკურენტების ზრდას და განვითარებას და მუდმივად ითვისებს ზრდაზე მიმდინარე მოვლენებსა და ფასთა ცვლას, რათა შევძლოთ ღირსეული კონკურენციის გაწევა და პირველობის მოპოვება.

კომპანია თვალყურს ადევნებს მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს და ცდილობს საინტერესო სიახლეები დანერგოს პრაქტიკაში. მუდმივად მიმდინარეობს კადრების გადამზადება და მაქსიმალურად ეწყობა ხელი მათ განვითარებას. ასევე ყურადღება ექცევა კონკურენტების ზრდასაც და მუდმივად ვითვალისწინებთ ქართულ ბაზარზე მიმდინარე მოვლენებსა და ფასთა ცვლას, რომლის მეშვეობითაც ვცდილობთ დავარეგულიროთ ჩვენი პროდუქტის ღირებულება და კონკურენცია უფრო გავზარდოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის თითოეულ ობიექტზე მუდმივ რეჟიმში წარმოებს წერილობითი თუ სიტყვიერი გამოკითხვები სერვისთან დაკავშირებით, რომელსაც ასევე, ძალიან დიდ ყურადღება ექცევა, რადგან მომხმარებლისა და ზოგადად საზოგადოების დაკვეთის და იდეების მოსმენა კომპანიას ყველაზე მეტად ეხმარება წინსვლაში. დღეისთვის ემ|გრუპი პირველი მენეჯმენტ ჯგუფია აღმოსავლეთ ევროპის HoReCa სექტორში, რომელიც 2008 წელს გახდა HACCP -ის კონცეფციით ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO9001:2000 სერტიფიკატის მფლობელი, ხოლო 2017 წელს უკვე ISO 22000:2005 სერტიფიკატი მოიპოვა.

რესტორნები:

- მეტეხის ჩრდილში;
- პურის სახლი;
- მასპინძელი;
- ოტიუმი (შპს ოტიუმის საკუთრება).

სასტუმროები:

- კურორტი ყვარლის ტბა (შპს კოლორიტის საკუთრება);
- ყვარლის ბაღები (შპს კოლორიტის საკუთრება).

ჰორეკა სექტორის ობიექტების მართვის გარდა, კომპანია უზრუნველყოფს მსხვილი ორგანიზაციებისთვის სათაო ოფისებისა და საველე ობიექტების მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას. მიმდინარე

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

პერიოდში კომპანია ემსახურება BP-ს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საიტებსა და სათაო ოფისში კვებითი და სხვა ქეითერინგული მომსახურებით.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2018	2017
სარესტორნე მომსახურება	13,962	15,043
სასტუმრო მომსახურება	1,615	1,571
ქეითერინგული მომსახურება	7,580	6,566
სხვა	1,950	720

ცენტრალური საწყობი ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩანტლაძის ქუჩა N40.

კოლორიტი და ოტიუმი

შპს კოლორიტისა და შპს ოტიუმის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დედა კომპანიისთვის სამართავად გადაცემული ჰორეკა ობიექტების ფლობა და გაქირავება. ორივე კომპანიის შემთხვევაში საკუთრებას წარმოადგენს მხოლოდ სამართავად გადაცემული უძრავი ქონება.

დედა კომპანიის სტრუქტურა. კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა აქციონერთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

არჩილ გეგენავა (პირადი # 01030021428) და გიორგი ჩუბინიშვილი (პირადი # 01024001705)

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

არჩილ გეგენავა (პირადი # 01030021428) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი მიქაძე (პირადი # 01017003703) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

გიორგი ჩუბინიშვილი (პირადი #01024001705) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

გენერალური დირექტორი: გიორგი ჩუბინიშვილი.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2017 წლის ივლისიდან იყო ანა ბოკერია. 2019 წელს დედა კომპანიის დირექტორად დაინიშნა გიორგი ჩუბინიშვილი. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის შემოსავალმა შეადგინა 25,887 ლარი, რაც 5%-ით აჭარბებს 2017 წლის ანალოგიურ მონაცემს. არსებული ზრდა ძირითადად გამოწვეულია დედა კომპანიაში ბიპის პროექტიდან შემოსავლების გაზრდით.

შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2018	2017
სულ შემოსავალი	25,887	24,522
სულ აქტივები	13,332	13,822
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	635	580
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1,51	1,37
მარაგების ბრუნვა (დღე)	13,5	13,23
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	24,03	35,56
დებიტორების ბრუნვა (დღე)	27,86	24,95
უკუგება კაპიტალზე	26,68%	28,37%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 600 დან 630-მდე ხოლო ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 635 თანამშრომელს. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამკირავებელი, სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. ჯგუფი განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია თანამშრომლობს 1,000-მდე მომსახურე და პროდუქციის მომწოდებელ კომპანიასთან. წლის დასაწყისში ხდება მომწოდებლების შეფასება და დაშვებული მომწოდებლების ნუსხის დამტკიცება.

კომპანია აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს და სწავლობს მომხმარებლის განწყობას. ობიექტზე მოსულ სტუმრებს მომსახურების მიღების შემდგომ ურიგდებათ სპეციალური ბარათები (კითხვარები), რითაც შეუძლიათ შეაფასონ მიღებული მომსახურება და ხარისხი. ამასთან ერთად ონლაინ და სოციალური მედიის მეშვეობით ტარდება გამოკითხვები, რითაც უფრო ნათელი ხდება ობიექტების ძლიერი თუ სუსტი მხარეები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2011 წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

კომპანია 2019 წლის ბოლომდე მიზნად ისახავს როგორც რესტორნების ასევე სასტუმროების ქსელის გაფართოვებას. რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ორგანიზაციული მიზნების მიღწევისაკენ.

იგეგმება ქეითერინგის მომსახურების მოცულობის გაზრდა, ამ მიმართულებით ახალი პროექტების დამატება, ახალი პროდუქტის შეთავაზებით რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლისთვის პროდუქტის, მომსახურების, ინფორმაციისა და შთაბეჭდილებების კომბინაციის შეთავაზებას.

2019 წელს ყვარლის ტბის კურორტის მფლობელმა კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია, რომლის შედეგადაც არსებული სასტუმროს დამატა ახალი 41 ნომრიანი შენობა, რომლის მართვასაც ახორციელებს „სს რესტორნების და სასტუმროების მენეჯმენტ ჯგუფი მ გრუპ“-ი. მომხმარებელს ვთავაზობთ სასტუმრო მომსახურების ხარისხის მართვის ეფექტიან სისტემას, მომხმარებელთა თითოეული სეგმენტისადმი ოპტიმალური ტაქტიკის შემუშავებას. სასტუმროს მართვისა და სტუმრების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული იქნება თანამედროვე IT ტექნოლოგიები,

2019 წელს, რესტორან „მეტეხის ჩრდილში“-ს მიმდებარედ, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფის, მმართველობის ქვეშ გაიხსნება კიდევ ერთი რესტორანი „უბანი“.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2018	2017	გადახრის ახსნა
სავაჭრო მოთხოვნები	2,261	1,928	შენიშვნა 1
ფული და ფულის ექვივალენტები	676	1,230	შენიშვნა 2
სავაჭრო ვალდებულებები	1,265	1,838	შენიშვნა 2
აღებული სესხები	187	2,996	შენიშვნა 3

შენიშვნა #1

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა უკავშირდება დედა კომპანიაში ბიპის მიმართ არსებული მოთხოვნის ზრდას რაც ძირითადად გამოწვეულია ოპერაციების მოცულობის გაზრდით.

შენიშვნა #2

ფულის ნაშთი წინა წელთან შედარებით შემცირებულია, რაც გამოწვეულია სავაჭრო ვალდებულებების ნაშთის შემცირებით და წარმოადგენს სამუშაო კაპიტალის მართვის ნაწილს და გადახდები ხორციელდება შეთანხმებული პირობების შესაბამისად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

შენიშვნა #3

ჯგუფის შიგნით 2018 წელს განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები მოზიდული დაფინანსების მხრივ, ასევე წინსწრებით დაიფარა შვილობილიდან გადმოკისრებული სესხი, რამაც გამოიწვია მიღებული სესხების მნიშვნელოვანი შემცირება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2018	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729.6	3,726.4
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.1	16.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,345.5	4,046.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	4.7%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.60%	6.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,232	1,347
უმუშევრობის დონე, %	12.70%	13.90%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. დედა კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა სასესხო ვალდებულების ნაშთიდან გამომდინარე, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვან რისკად.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 16 სექტემბერს:



გიორგი ჩუბინიშვილი
გენერალური დირექტორი



ნოდარ წერეთელი
ფინანსური მენეჯერი

იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. შპს კოლორიტს და შპს ოტიუმს მოთხოვნები აქვს მხოლოდ დედა კომპანიასთან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა სასესხო ვალდებულების ნაშთიდან გამომდინარე, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვან რისკად.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 16 სექტემბერს:

გიორგი ჩუბინიშვილი
გენერალური დირექტორი

ნოდარ წერეთელი
ფინანსური მენეჯერი